პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! პარასკევი, 10 ივლისი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

ფოთლის ქარხანა

153 (851) 1 და 2 მართული მსრ. დივ. პოლიტ-განების უოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ. სტრ.

ინგლისის პროლეტარიატი მოითხოვს მუშიდოგიან და კეთილ მეზობლურ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან.

როგორც უკვე ავდნიშნეთ ამ პოლო ხანებში ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა მეტის-მეტად გამწვავდა. ინგლისის მთავრობის ერთი ნაწილი მოითხოვს დაუყონებლივ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას საბჭოთა კავშირთან და მიზნად ისახავს სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ერთად მთლიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნას ჩვენ წინააღმდეგ.

რეაქციონური მთავრობის ასეთ ნაბიჯს ცხადია შეუძლია უდიდესი ზიანი მიაყენოს, როგორც ინგლისის მუშებს, ისე საბჭოთა-კავშირის მშრომელთ. იმპერიალისტური ბურჟუაზია კვლავ ებრძვის სისხლით ავანტიურას. მაგრამ არის ძალა, რომელსაც შეუძლია თავიდან აშოროს ეს შემთხვევა და ასეთი ძალაა ინგლისის მუშათა კლასი.

დღითი დღე უმუშევრობა იზრდება ინგლისში; მარტო ერთი კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი 4.653 კ. გაიზარდა. ამავე დროს მწარმოებლები იდიდებენ სამუშაო ძალის და ამცირებენ ხელფასს.

ყოველივე ეს იწვევს მშრომელთა ფართო მასების გაღატაკებას და მათი არსებობის პირობების გაუარესებას.

და აი ასეთ მომენტში, როდესაც განვითარება და უსახსრობა ინგლისის პროლეტარულ მასებს, ჩემბერლენის მთავრობა ემუქრება მას ახალი ანტანტური-საბჭოთა კავშირთან მტრული დამოკიდებულების ჩამოგდებით. ცხადია ინგლისის პროლეტარიატს არ შეუძლია გულ-გრილად უყუროს იმპერიალისტური მთავრობის თავხედობას; მას არ შეუძლია ხელდაკრეფილი იყოს, როცა ჩემბერლენები მას უმზადებენ შიშველის და სილატაკის მწარე დღეებს.

დღეს ჩვენს გაზეთში თავსდება ცნობა, რომ ინგლისის მუშათა პროფკავშირების გენერალურ საბჭომ ოფიციალური წერილით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს ბოლდუინს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის შექმნილ ურთიერთობის გამო. თავის წერილში გენერალური საბჭო აფრთხილებს მთავრობას, რომ მან არ გადასდგას არავითარი ისეთი ნაბიჯი, რომელიც გამოიწვევს ნორმალური ურთიერთობის დარღვევას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამასთანავე საბჭო მოითხოვს რათა ყოველგვარი სადაო საკითხები გადაწყვეტილ იქნას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან.

ეს მიმართვა უკვე ნიშნავს მას, რომ ინგლისის პროლეტარიატი სდგას თავის ადგილზე; რომ ის სასტიკად გაიღაშქრებს მთავრობის ყოველგვარ ავანტიურის წინააღმდეგ.

ბოლდუინის მთავრობას ორში ერთი დარჩენია: მისდიოს ინგლისის პროლეტარიატის წარმომადგენელთა რჩევას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას საქმე ექნება უპირველეს ყოვლისა თვით ინგლისის მუშათა კლასთან.

ჩვენ გვწამს, რომ თავისი რევოლიუციონური შეუდრეკლობით და შეგნებით ინგლისის პროლეტარიატი თავისას გაიტანს და ნებას არ მისცემს იმპერიალისტურ მთავრობას დაარღვიოს კეთილ-მეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

პოლონეთ-ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკური შეთანხმება.

კოენოს ცნობის თანახმად პოლონეთის არმია ამზადებს ბოლშევისტოსთვის დიდ მანევრებს, რომელსაც დაესწრებიან ინგლისის, საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის, რუმინეთის და ბალტიის სახელმწიფოების გენერალურ შტაბების წარმომადგენლები. აქვე მოელინ პოლიტიკურ შეთანხმებაზე ხელის მოწერას პოლონეთისა და ჩეხო-სლოვაკიის შორის. შეთანხმებამ უნდა განსაზღვროს თვითეულის როლი ომის დროს რომელიმე სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირსა და გერმანიასთან.

ახალი რადიო-ამბები

საბჭოთა კავშირის და ინგლისის ურთიერთობა.

რაში ედებენ ბრალს საბჭოთა კავშირს.

ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუზი“ ინგლის—საბჭოთა ურთიერთობაზე მიძღვნილ წერილში ჩამოსთვლის მთავარ ბრალდებებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ:

იარაღისა და საჰურველის შეტანა ჩინეთში ფინ—იუი—სიანისთვის; წითელი არმიის ინსტრუქტორების შეყვანა ფინ—იუი—სიანის ჯარებში; კარახანი მოითხოვს ფინ—იუი—სიანისგან „დაჩქარის გამოსვლა“ და სხვა. წერილის ავტორი დასძენს, რომ არის კიდევ სხვა მრავალი მიზეზი, რომელიც მოითხოვს სიფხიზლეს ინგლისის მთავრობის მხრივ, მაგრამ გაბედული ნაბიჯის გადადგმა არც კი შეიძლება სხვა სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად. ქვევით გაზეთი სწერს.

„ხმების მიხედვით რამდენიმე დღის უკან მოხდა საიდუმლო კონფერენცია საერთაშორისო გამოსვლის საკითხის შესახებ ბოლშევიკური აგიტატორების წინააღმდეგ“.

ინგლისის პროფკავშირთა მთავარი საბჭო მოითხოვს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის მოგვარებას.

სუელსი

ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის მთავარი საბჭოს სახელით სუელსმა და ციტრინმა გაუგზავნეს ბალდუინს შემდეგი წერილი: „23 ივნის თქვენ მიიღეთ ჩვენი დეპუტაცია მოითხოვნილებით, რომ მთავრობას დაუყონებლივ განეხილებია მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცების მიზნით. პასუხში თქვენ მომხდეთ, რომ მთავრობა მიესალმება რუსეთის შესვლაზე ვროპის ხალხთა ლიგაში.

მას შემდეგ ჩვენ მოვისმინეთ პასუხისმგებელ მინისტრების განცხადებანი, რომლებსაც შეუძლიათ დაიჩარონ ურთიერთობის გაწყვეტა ორ სახელმწიფოს შორის.

ჩვენ მოვითხოვთ, რათა მთავრობამ გვერდი აუხვიოს მცდარ გამოსვლებს, რომელიც გააბნწვავებს ურთიერთობის საქმეს.

ჩვენი საბჭოს საგანგებო სხდომა დანიშნულია 10 ივლისისთვის, რის გამოც, შეიძლება ინებოთ და შეგვატყობინოთ პასუხი ამ დღისთვის“.

ჩინეთის ამბების გარშემო.

სენატორ ბორას თვალსაზრისზე.

ჩრდილოეთ ჩინეთში მცხოვრებ რამოდენიმე გამოჩენილმა ამერიკელმა მიმართა სენატორ ბორას შემდეგი განცხადებით: „ჩრდილოეთ ჩინეთის 15 ამერიკელი ვიზიტორებს თქვენს თვალსაზრისს ჩინეთის საქმეში ჩაურევლობის საკითხში და მხარს ვუჭერთ იმ ზომებს, რომელთა მიზანია ექსტერიტორიალობის უფლებათა განსაზღვრა“.

მომავალ კონფერენციისათვის

ჩინეთით დაინტერესებულ სახელმწიფოებსა და ჩინეთის მთავრობას შორის მოლაპარაკება ჯერაც არ დაწყებულა.

ჩინეთის მთავრობა მოითხოვს გარჩეულ იქნას კონფერენციაზე ყველა საკითხები, რომლებიც კი ეხებიან ჩინეთსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობას.

სხვა სახელმწიფოები თანახმა არიან მხოლოდ შანხაის ამ ბების განხილვაზე.

ოსმალეთის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში



ზეკაი-ბეი, რომელიც ამ დღეებში ჩავიდა მოსკოვში.

ახალი მღელვარება.

შანხაის მუნიციპალიტეტმა განკარგულება გასცა შეწყვეტილ იქნას ელექტროს ენერგია ჩინეთის ფაბრიკებისთვის, რომლებმაც ეხლახან დაიწყეს მუშაობა. ამ განკარგულებამ ახალი მღელვარება გამოიწვია ჩინეთის მოსახლეობაში.

მხოლოდ თანასწორ უფლებიანობის საფუძველზე.

შანხაიში ჩავიდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები შექმნილ მდგომარეობის გამოსაძიებლად.

ერთ-ერთ წარმომადგენელმა განაცხადა: „იაპონელები ყოველმხრივ თანაუგრძნობენ ჩინეთის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. მტკიცე და მყუდრივი მშვიდობიანობა შორეულ აღმოსავლეთში შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ რომ ჩინეთს მოექცევიან, როგორც თანასწორუფლებიან სახელმწიფოს“.

ამერიკა და ჩინეთი.

შეერთებული შტატების ელჩმა ჩინეთში მაკ-მურეი იაპონიის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში უარყო ის ხმები, რომ თითქოს ამერიკას განზრახული ჰქონდეს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ექსტერიტორიალობის საკითხის გარშემო. არავითარი მოლაპარაკება არ იქნება ჩინეთის მთავრობასთან, სანამ წინასწარ არ განიხილავს საკითხებს პეკინის დიპლომატიური კორპუსი.

მაროკოს ამბები.

ჰავასის სააგენტოს ცნობით უეცტანის ჩრდილოეთ მხარეში საფრანგეთის მფრინავმა რაზმმა განდევნა აჯანყებულები და დაანგრია მათი გამაგრებული ადგილები.

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე პენლევე აჯილდოვებს მაროკოს ფრონტზე გამოჩენილ მხროლეელებს.

ინგლისის ბრალია.

თემთა პალატაში შეკითხვაზე ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ 1924 წელს ინგლისიდან საბჭოთა კავშირში გატანილ იქნა 25.392 გირვანქა სტერლინგის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, იმ დროს, როცა 1913 წელს გატანილ იქნა რუსეთში 1.376. 411 გირვანქა სტერლინგის.

აფეთქება არსენალში.

8 ივლის ღამის 11 საათზე და ოც წუთზე აფეთქდა არსენალის ერთ-ერთი დენთის საწყობი.

ლანსბერის შეკითხვა თემთა პალატაში.

ინგლისის თემთა პალატაში მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერმა ლანსბერიმ მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს შეკითხვით, მიეცემა თუ არა პალატას საშუალება გაეცნიხლოს და გადასჭრას საკითხი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ მანამ, სანამ მთავრობა გამოიტანდეს დადგენილებას დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ და სხვა.

მთავრობის სახელით სამიუელმა უპასუხა, რომ თუ საქმის ვითარება აიძულებს მთავრობას მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, ამის შესახებ სჩქარედ ეცნობება პარლამენტს, თუ რომ სესია არ იქნება დამთავრებული.

ჩემბერლენი უკან იხევს.

თემთა პალატაში, პანსონბის შეკითხვაზე არჩევს თუ არა ინგლისის მთავრობა დიპლომატიურ ურთიერთობის საკითხს საბჭოთა კავშირთან,-ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მთავრობა არ აპირობს ამ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ ყურადღებით ადევნებს თვალყურს ამბებს.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ის არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ლონის პრესის ცნობებს, თითქოს მთავრობის ხელში იყოს დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტისთვის ყველა საჭირო საბუთები. მან აღნიშნა, რომ ის არავითარ წინადადებას არ არჩევს დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

საბჭოთა კავშირი
ჩვენი პურის ხარისხი.

უცხოეთიდან დაბრუნდა ამხ. კოგანოვიჩი, რომელმაც განაცხადა, რომ ევროპის პურის ბაზარზე ჩვენ შეგვიძლია კონკურენცია გავუწიოთ არგენტინას, კანადას და ავსტრალიას. ჩვენი პურის ღირსება მაღალ სდგას. აღსანიშნავია ისიც, რომ პური გაცილებით უკეთესი ღირსებისაა, ვინემ გარიგებაში იყო მოხსენებული.

სამხედრო ქიმია.

ქიმიისა და სამხედრო-ქიმიურ ინვთიერებათა მნიშვნელობა სასკოლო მეურნეობაში.

აზოტოვანი ნივთიერებანი გამანაყოფიერებლად.

მცენარისთვის საჭირო აზოტი სუფთა სახით წარმოადგენს გაზს. ეს გაზი ჰაერში დიდძალი რაოდენობით იმყოფება, მაგრამ მცენარეს არ შეუძლია მისი უშუალოდ მიღება ჰაერიდან, ვინაიდან ის არ იხსნება წყალში. ამიტომ მიწის გასანაყოფიერებლად იღებენ ისეთ აზოტოვან ნივთიერებას, რომელშიაც აზოტი შერეულია სხვა ნივთიერებასთან; ამ სახით ის შეუძლია გაიხსნას წყალში და ასაზრდოვოს მცენარე. ასეთ ნივთიერებათაგან მნიშვნელოვანია ერთგვარი ნივთიერება, რომელსაც ეწოდება სემიტრა. დიდი ხნიდან დღემდის სემიტრა შემოდიოდა ჩვენში საზღვარგარეთიდან, თითქმის განსაკუთრებით სამხრეთ-ამერიკიდან. მაგრამ სემიტრის შემოტანა ამ სიშორიდან ძვირი ჯდებოდა და მასთან აზოტი მასში არც იმდენია. ამას გარდა ომის შემოხვევაში სემიტრის შემოტანა უცხოეთიდან ძნელი და თითქმის შეუძლებელიც იქნება.

ხოლო იმავ დროს კი სემიტრა ჩვენთვის საჭიროა არა როგორც მარტო მიწის გასანაყოფიერებლად, არამედ როგორც ნივთიერება, ურომლისოდაც არ შეიძლება არც ერთი სიმწვავისა და ამოფეთქებელ ნივთიერების მიღება, რომელიც აუცილებელი საჭიროა სამხედრო მიზნებისათვის.

ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩვენ მოგვეხმარება მეცნიერება ქიმია.

ქიმიკოსებმა კარგი ხანია გაიგეს, რომ აზოტისაგან, რომელიც იმყოფება ჰაერში, შეიძლება მივიღოთ ყველა აზოტოვანი ნივთიერებანი, რომელებიც აუცილებელი საჭიროა, როგორც სამხედრო მიზნების, ისე სახოფლო მეურნეობისთვის.

საზღვარ გარედ, განსაკუთრებით გერმანიაში, უკვე რამოდენიმე წელია ამუშავებენ სხვადასხვანაირ აზოტოვან ნივთიერებას სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის. ჩვენში უკანასკნელ დრომდის ასეთი წარმოება მოუგვარებელია. მხოლოდ როცა ჩვენ ქიმიური მრეწველობას განვავითარებთ, შევძლებთ მაშინ მივაწოდოთ სასოფლო მეურნეობას მისთვის საჭირო აზოტოვანი განაყოფიერება.

მარტო დონის ბასეინსაც კი შეუძლია მოგვცეს დიდძალი აზოტოვანი ნივთიერება.

აქედან ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ქიმიური მრეწველობის განვითარებას.

ლ. ვორონოვი.

სამხედრო საქმე

ადგილ-მდებარეობასთან შეხამება.

ყველასათვის ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილ-მდებარეობას ბრძოლაში: ის ან აძნელებს ჩვენს მუშაობას, ან აადვილებს. რომ ადგილი ჩვენი დამხმარე გახდეს, საჭიროა შეგვეძლოს მისი კარგი ხასიათების გამოყენება, ხოლო ცუდის—თავიდან აშორება.

ეს ცოდნა ყოველი ცალკე მეომრისთვის გამოიხატება ადგილ-მდებარეობასთან კარგად შეხამებაში. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მეომარს თავის ამოცანის ასრულების დროს უნდა შეეძლოს ადგილ-მდებარეობის გამოყენება უმთავრესად ორის მხრივ: ერთი, რომ ადგილ-მდებარეობა ხელს უწყობდეს მუშაობას, მეორედ—ის შეძლებისდაგვარად იფარავდეს მტრის თვალისა და ცეცხლისაგან და არა მარტო მიწიდან თვალთვალისაგან, არამედ ჰაერიდანაც.

თვითეული მეომარს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ეს ორი პირობა და ასრულებდეს ყოველნაირი საბრძოლო გარემოებაში, სადაც უფრო მნიშვნელოვანია პირველი პირობა: აუცილებლად უნდა გამოიყენო ბეკობი, ქვა, და სხვა ასეთები თოფის დასაყრდნობად, რომ შეიძლებოდეს კარგად დამიზნება და მარჯვედ სროლა.

მაგრამ მარტო იმაზე კი არ უნდა ფიქრობდე, რომ როგორმე თავი დაიფარო მტრის თვალისა და ცეცხლისაგან: ზოგიერთი ადგილი საუკეთესო თავშესაფარს წარმოადგენს, მაგრამ იმავე დროს არ ვარგა სროლის წარმოებისთვის. შეეხამება რა ამრიგად ადგილ-მდებარეობას, სამხედრო ნაწილი შეუფერხებლად ასრულებს თავის ამოცანას ზედმეტი მხვერპლის გაღებლად.

ადგილ-მდებარეობასთან შეხამება მდგომარეობს კიდევ იმაში, რომ გამოიყენო დამცველი ფერები. მაგალითად ყვითელ, მოთეთრო ველით ჯარის მოძრაობა ადვილი შესაჩნევია. პირიქით დამცველ ფერის ტანსაცმელში მწვანე მინდორზე ძნელი შესამჩნევია.

ადგილ-მდებარეობაზე დამოკიდებულებაც გარდა შეგხვდება ღია ადგილებიც, რომელთა გავლაც მოგიხდება მტრის ცეცხლის ქვეშ. აქ უკვე თავის დაფარვაზე ფიქრიც ზედმეტია. საქმე ისაა, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაირბინო ასეთი ადგილები. თუ მტრის ბანაკიდან ახლო მანძილია და მისი ცეცხლი მარჯვე, აქ უნდა აწრიალო გადარბენა ცალკეულად.

გადარბენა სწარმოებს ერთი საფარიდან მეორემდე. სანამ გადირბენს შეუდგებოდეს, მეომარი დაინიშნავს შესასვენებელ ადგილს, სანამდისაც თან უნდა გადაირბინოს.

ამრიგად ადგილ-მდებარეობასთან უმთავრეს საზრუნავს შეადგენს ყოველი მეომრისთვის ყოველგვარ საბრძოლო გარემოებაში.

ე.

კარავში.

(სურათი)

მზე გადიხარა, მთებს იქით, უკანასკნელი გამომშვიდობით...

საღამოს ნიავმა მხრები შეაწყრა და ლოთივინად ჩაუბარტყუნა ქეჩოში სამხედრო ბანაკს, რომლის შესავალთან მდგარ გუშაგს სიცხით დამწვარ შუბლზე ესალბუნა გრილი ამოორით...

პაპანაქებაში ბალან ატყუსულ მინდვრის ქათიბზე თეთრი ღილებივით ასხმული კარვები ოდნავ შეირხენ...

სამკითხველოს დიდ კარავზე აღმართულმა წითელმა დროშამ კალთები შეიბერტყა.

შესვენებული მხედრობა გულდასმით უსმენს ბიბლიოთეკარის საუბარს...

— ჰო, და, როგორც გითხარით, წიგნის კვირეულის მნიშვნელობა წითელ ჯარში, ასეთია... წიგნია, რომ გვიხელს თვალებს, წიგნია, რომ გვასწავლის ყველაფერს, უწიგნო კაცი არაფერშია გამოსადეგი, წიგნს უნდა გვუფრთხილდეთ, როგორც თვალის ჩინს, უნდა შევიყვაროთ, იგია ჩვენი მეგობარი და გზის გამკვლევი სინათლისაკენ და ეს კვირეული მისი პროპაგანდისთვისაა დანიშნული... თორემ, რა არის, სარცხვილია ამხანაგებო ასეთი მოქცევა წიგნისადმი...

და გადმოალაგა მაგიდაზე რამდენიმე დახეულ—დაფხრეწილი და დამწვარი წიგნი...

— აი ყდა დახეული, რომელიც ჰქონდა მინდაძეს, აი ფურცელ ამოგლეჯილი, რომელიც ჰქონდა სიმონიშვილს და თამბაქოს გასახვევად უხმარია, აი, აი გაქონილი, რომელიც ჰქონდა ვარნაზოვს, აი მელან დასხმული, რომელიც ჰქონდა პეტენავას, აი ფურცელ დამწვარი, რომელიც ჰქონდა დანდურაშვილს, აი...

და განაგრძობდა წიგნების ჩვენების და გვარების დასახელებას.

— მა რა იქნება შვილოსან—რომ, ფეხ და ტანთგაუხედელი წამოგორდება ლოგინზე, ფეხებს მაღლა აპლაკავს, პაპიროსს აბოლებს და ისე კითხულობს წიგნსა!

ამბობს წითელ არმიელი ნიკო და უკმაყოფილებით უყურებს კუთხეში დარჩენილ ატუზულ დანდურაშვილს.

—იმ დღეს ისევე ჩასძინებოდა, კითხვის დროს და პაპიროსის ნამწვი წიგნზე დავარდნოდა, მე რომ არ შემემჩნია და ადრევე არ ჩამეკრო, წიგნიც დაიწოდა, ლოგინიც, თითონაც, კარავიც და შეიძლება მთელი ბანაკიც.

ამბობს იგივე.

—ეს კი სახელმწიფო ქონებისადმი უპატივცემლობა, ფლანგვა, ღალატია და არავის ეპატება.

ერევა პოლიტბელი.

—რა იქნებოდა, აბა წარმოიდგინეთ, რომ მართლაც გადაწვარიყო ყველაფერი? ამაზე მეტი მტრობის გაწევა განა კიდევ იქნება მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისა და ქვეყნისადმი?! ვინც ასე იქცევა, ის მტერზე უარესია!

განაგრძობს ის...

—უმრავლესობამ უკვე შეიგნო წიგნის მნიშვნელობა და პატივისცემა, წიგნები როგორც მიაქვთ, ისეთივე გაუფუჭებელი მოაქვთ, აი ამხანაგებო, ბეკეური, ახალაშვილი, კოკაია, ოგანეზოვი, პალადინი, კობიძე, როგორ ინახავენ წიგნს; ეთ მიპაპაძთ...

განაგრძობს ბიბგამგე.

— ამხანაგო ბიბგამგევ დამნაშავეები გავასამართლოთ და ღირსეული სასჯელიც მივცეთ.

იძახის სანდრო, და წინადადება შემოაქვს, რომ მეორე დღესვე გამართონ კლუბში, ლიტერატურული გასამართლება.

—ჩვენ თუ არ გამოვასწორეთ ასეთი ულირსი ამხანაგები, ისე არ ივარგებს; ეს წითელ არმიელის პატიოსან სახელწოდების შემლახველია და ასეთებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს რიგებში...

ჩაერია ზემდეგი.

ვისაც ეხებოდა ეს სიტყვები თავგაღუნული ისხდენენ და სირცხვილის ალმური ედებოდათ სახეზე... ერთ მათგანს ეტყობოდა აინუნშიაც არ მოსდიოდა ეს გაფრთხილება და ღიმილით, პაპიროსსაც კი აბოლებდა არხეინად.

— მამაჩემს და ჩემს წინაპრებს თუ არ უსწავლიათ წიგნი, მე ვიცი იმაზე კარგები ხართ—და ვატკაცობაში სჯობნიხართ ამბობს ის, ჩუმად, თავმომწონედ.

— შენ თუ არ გამოგასწორეთ, მაშ ჩვენ ბიჭები არა ვყოფილვართ! არა, მიხა?

ემუქრება მას, სამსონა და დასაღასტურებლად მიმართავს იქვე მჯდომ ამხანაგს, რომელიც მოითხოვს დამნაშავეთა სასტიკად დასჯას.

— მაშა, მაშ, ჭკუა უნდა ვასწავლოთო მაგას.

ეთანხმება ის.

— სუ, გაჩუდი. რაც მართალია, მართალია. ჩვენ, რომ დაუდევრად ვეკიდეთ წიგნებს და ვაფუჭებთ, ეს აშკარაა და ღირსიც ვართ გაკიცხვის...

ეუბნება ერთი მათგანი დანარჩენთ.

—ჰო, და მას გეუბნებოდი, გაუფრთხილდი მეთქი, წიგნებსა, მა რა გეგონა?!

ეუბნება, ნაწნის მოგებით, ნიკო ერთერთ მათგანს, თავის თანამესოფელს.

წიგნის საათი გრძელდება. ბიბგამგე უყვება მხრივ სცდილობს წიგნის მნიშვნელობის გაშუქებას... ყველა გულდასმით ისმენს...

წითელ-არმიელებში თანდათან იკიდებს ფეხს წიგნის სიყვარული, შეგნება, რათა წითელ ჯარში შეძენილ ცოდნით დაუბრუნდეს სოფელს და გადასცეს თავისი გამოცდილება...

— წიგნიანი ჩვენი ჩარიდანი... იმის საშუალებით მიაღწევს მუშა და გლეხი საბოლოო გამარჯვებას, მისი შეგნებით შეივა აღთქმის ქვეყანაში, რომელიც დამყარდება მსოფლიოზე, შრომის მეუფების, კომუნის სახით. ვაშა წიგნს! განაგრძობდა ბიბგამგე.

— ვაშაა!

გაისმის კარავში, წითელ-არმიელთა დასტური.

-თუ სწავლა არა გვაქვს ყველა მტერი დაგვამარცხებს. ამიტომ, წითელ-არმიელი უნდა იდგეს საგუშაგოზე ერთ ხელში შაშხანით და მეორეში წიგნით. უმატებს პოლიტბელი...

ბანაკში გაისმა ბუკი.

— აბა, ამხანაგებო, ვინც ხართ ყარაულში, საგუშაგოზე დანიშნულნი მოემზადეთ. გაისმა ათისთავის ხმა.

წითელ-არმიელები შეიჭურვნენ.

ბინდმა ნაბადი გვერდზე გადიგდო ლურჯთვალა ცაზე დისკო გადაკრული ბაღრი მთვარის ამოცურებით...

ბანაკში სიწყნარეა...

მხოლოდ ერთი კარავიდან ჯერ კიდევ მოისმის ახალწვეულთა მხიარულება... ერთი მათგანი თან წამოღებულ ფანდურზე ამღერებს:

— ბიჭო, ერთ ხელში შაშხანით,
მეორეში წიგნითაო;
დაამარცხებ ყველა მტერსა,
გარეთა და შიგნითაო...

ს. ერ—ლი.

ᲣᲨᲐᲝᲒᲐ ᲪᲕᲐᲚᲔᲒᲐᲓᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲢᲔᲠ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ ᲡᲐᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲝ ᲙᲚᲣᲒᲨᲘ.

მე-6-სე ტერ-ლეგიონი.

დიდი ხანია რაც ჩვენი ლეგიონი ემზადებოდა ტერ-არმიელთათვის დიდი საღამოს ჩასარებლად წითელ არმიისა და ფლოტის საგარნიზონო კლუბში.

ყველა გულის ფანცქალით ელოდა აღნიშნულ დღეს. კლუბთან არსებული დრამატული და ლიტერატურული წრეები ამზადებდენ შესაფერ პროგრამულ პიესებს და დეკლამაციებს.

მოვიდა 6 ივლისიც. საღამოს 7 საათზე მთელი ლეგიონი მწყობრად გაეშურა საგარნიზონო კლუბისაკენ.

ცვალებადელები ყურადღებით იქცევდენ თავისი მწყობრი ადგილით. სუფთად ჩაცმული და სიმართლით მიუახლოებით დანიშნულ დროს. ჩვენ მიერ მე-2-ე არტ-ლეგიონის ცვალებადელები იქ დაგვხვდენ.

დაიწყო სიმღერა, ცეკვა-თამაში.

ქართველები, რუსები, სომხები, თათრები და გერმანელები ერთი-მეორეში არეულიყვნენ. ერთის გრძნობით გამსჭვალულია, ყველას ღიმი უკრთის სახეზე. ზოგი ცეკვავს, ზოგი სამხედრო მუსიკის მხიარულ ჰანგებს უგდებს ყურს.

—ხომ არ მოგეწყინა ამხანაგო?

ეკითხება ოცეულის უფროსი თავის ცვალებადელს, რომელიც ქართველოს ერთ-ერთ მივარდნილ მაზრიდან არის.

—ბატონო ჩემო! უპასუხებს ის—წითელ ჯარში რომ არ გამოვეყვანე ჩვენს მთავრობას, ამისთანა მშვენივრად მოწყობილი ბაღის ნახვას სიზმარშიდაც ვერ ვეღირსებოდი.

ასტყდა საერთო სიცილი.

ცოტა ხნის შემდეგ გაისმა სადღესასწაულო მიტინგი, წარმოითქვა სიტყვები ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

მისასალმებელ სიტყვებში მთელი ცვალებადელთა შემადგენლობა ფიცს სდებდა, რომ არავის მისცემენ უფლებას საბჭოთა ხელისუფლების დამონებისას.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მეორე არტ-ლეგიონის ცვალებადელის რევოლუციონური ენტუზიაზმით აღსავსე სიტყვა.

თვითეულ ორატორების მიერ წარმოთქმულ სიტყვას ფარავდა ხანგრძლივი ტაში და ინტერნაციონალი.

სიტყვების დამთავრების შემდეგ ნაჩვენები იქმნა კინო-სურათი საბჭოთა კავშირის ცხოვრების და მიღწევების შესახებ. დიდად რევოლუციონური შინაარსის პიესაც და წარმოთქმულ იქმნა ცვალებადელების მიერ სხვა და სხვა ენებზე ლექსები.

საღამომ ცვალებადელებში საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა და შეაღამის პირველ საათზე ნასიამოვნები გაეშურენ თავ-თავიანთ უბანთაკენ.

ნ. ახათიანი.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ.

(მე-2-რე არტლეგიონი)

ჩვენი საგარნიზონო ნაწილის ყოველგვარი მუშაობა, როგორც ძირითად წითელ არმიელებთან, აგრეთვე ახალწვეულებთან გარანტიური ნაბიჯით წინ.

მხოლოდ ერთ ნაკლს დღემდე არ ეძებნა სათანადო ყურადღება.

ჩვენი ნაწილის წითელ არმიელებს არა გვაქვს სასადილო. საცხოვრებელ ბინაში სადილობა აკრძალულია. ჩვენ ვიძულებული ვხდებით გარეთ სადილობა.

იმედია ჩვენი ნაწილის უფროსები მიაქცევენ ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას და გაგვახსნიან ერთ სასადილოს.

ვლ. ნავრუზაშვილი

ᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ.

მეექვსე ლეგიონი.

მეექვსე ტერლეგიონის უფლებამოსილებულმა წევრმა შეუდგა ცვალებადელთა შორის პოლიტგანათლების წარმოების, რომელიც სისტემატიურად მიმდინარეობს, მაგრამ სამწუხაროდ ადგილი აქვს ერთ გარემოებას, რომელიც საგრძნობლად აფერხებს მუშაობის ნაყოფიერებას

ხშირად მომხსენებელთან ერთად სხვა და სხვა საკითხებზე მოხსენებიან თანამომხსენებელნი, მაგრამ საერთო ხელმძღვანელი ამხ. ლომაძე თავის ადგილს არ ატყობინებს თანამომხსენებელს, რომ საფუძვლიანად მოემზადონ მოხსენებისათვის. მოემზადებული ამხანაგები კი ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებენ არმიელებში და ამიტომაც უფროსობის პრესტიჟის ცემა მათ თვალში. ასეთი მოვლენის მსჯელობა სხვებთან ერთად თვით ამ სტრიქონების დამწერიც გახლდათ, და ამხანაგის გულგრილობამ უხერხულობაში ჩაგდო ის.

საჭიროა მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ ასეთ სერიოზულ საერთო საქმეს. იმედია შემდეგისათვის მაინც აღარ განმეორდება ასეთი მოვლენები.

წულაია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲐᲝᲒᲐ ᲒᲐᲜᲐᲙᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲪ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲗ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.

პირველი ლეგიონი.

6 ივლისს ჩვენს ლეგიონს ბანაკში ესტუმრა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ამხ. სილბისტრო თოდრია.

მოსულმა სტუმარმა სულ-ერთიანად დაათვალიერა ჩვენი ბანაკი, ნახა კარვებში წ. არმიელების საწოლები, ლენინის კუთხეები და გაეცნო აგრეთვე მოლაშქრეთა კვების მდგომარეობას, რამაც ამხანაგზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

საღამოს გაიმართა უფ-პოლიტ და წ. არმიელების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ერცელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კონსტიტუციაზე ამხ. ს. თოდრიამ.

მოხსენება იყო გაკეთებული ძალიან მდაბიო და გასაგებ ენაზე. მან წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა წ.-არმიელთა მასაში. პოლოს მ-სასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ წ. არმიელებიც ამხ. თოდრიასწასვლის დროს წ. არმიელებმა გაუმართეს ოვაციები. დასასრულს კლუბში ჩატარებული იქმნა საღამო.

სამხკორი **შ. კვინიკაძე.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲔᲑᲘ.

მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.

ბანაკად გასვლის შემდეგ ჩვენმა კლუბმა მიზნათ დაისახა მოეწყო სკოლაში ერთი ლენინის კარავი, მხოლოდ დიდი.

კუთხეები გაცხოველებულათ შეუდგენ მუშაობას.

ზედმეტ სათებს კი არ იშურებდენ ამისათვის.

შენობის მოთავების დროს კლუბმა ყველა ასეულებს და განყოფილებებს მიუჩინა თავთავიანთი კუთხეები მოსაწყობად და რამოდენიმე დღის შემდეგ კურსანტების გულმოდგინე მუშაობის მეოხებით მივიღეთ მთლიანი, მშვენივრად მოწყობილი ლენინის კარავი, რომელსაც აქვს ექსი საუკეთესო კუთხე.

არჩეულ იქნა ცენტრალური ლენინის კუთხის პრეზიდიუმი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ მუშაობას.

იქმნა შემუშავებული პრეზიდიუმის მიერ კალენდარული სამეცადინო ცხრილი, რომელიც გადაეცა ასეულების წითელი კუთხეების გამგეობებს სახელმძღვანელოთ. თვითეულ ასეულს და განყოფილებას უწევს ჩასატარებლათ თვეში არა ნაკლები ხუთი კომბინიური საღამოსი და ყოველ კომბინიურ საღამოს ჩატარებაში დებულებას ითი-თორმეტი ჯგუფი მონაწილეობას. ყოველ მეოთხე დღეს კი ასეულები ატარებენ ჯგუფურ მეცადინეობას.

კუთხის ასეთმა მუშაობამ მიზანს მიაღწია და ვერ ნახავთ ისეთ კურსანტს, რომ არ ირიცხებოდეს რომელიმე ჯგუფში და არ ეწეოდეს ენერგიულ მუშაობას.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე კურსანტი სამ-ოთხ ჯგუფში მუშაობს.

ჩვენს ლენინის კარავს ამშვენებს ჩვენი ასეულების ორკვირეული კედლის გაზეთები.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი კედლის გაზეთებმაც შეასრულეს თავის მიზანი.

მაგრამ ერთი ნაკლი ამ მუშაობაში კიდევ გვაშლის ხელს.

ეს არის სათანადო ლიტერატურის უქონლობა. საჭიროა ყურადღება მიექცეს, რომ როგორც ლენინის კარავში, ისე სამეთხვეულოში იშოვებოდეს სათანადო ლიტერატურა.

ხშირია ისეთი შემთხვევაც როდესაც ხუთ-ექვსჯერ წაგისთვის მოსული კურსანტები ბრუნდებიან უკან.

ვიმედოვნებთ სკოლა ჩქარა შეიძენს კურსანტებისათვის საჭირო და აუცილებელ ლიტერატურას.

კურსანტი **ჭელიძე.**

ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲡᲘ.

მეცხრე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი სომხების მეთაურთა სკოლასთან ერთად 27 ივნისს გაემგზავრა საშეფო სოფელ ბეკანში. წასვლის წინ მუსიკით შემოგვიარეთდა აღნიშნული სკოლა, დავეწყეთ რიგზე და მხიარულად გაუდექით გზას სოფლისაკენ. გზაში ერთმანეთს ცვლიდა სომხური და ქართული მხიარული სიმღერები. ხან კი მუსიკა აგუგუნებდა მგზავრულს.

10 საათი იქნებოდა, რომ შევედით სოფელში. ბეკამელები გამოგვეგებენ სიხარულით. მთელმა სოფელმა თავი მოიყარა ჩვენს გარშემო და სიამოვნებით ჩაებენ ჩვენთან საუბარში. მუსიკა ცალკე აგუგუნებდა ლეკურს და გლეხების ქალები გატაცებით უცქერდენ დავლურს ჩვენს წითელ-არმიელებთან.

ცოტა შესვენების შემდეგ გაიხსნა მიტინგი. სიტყვებით გამოვიდენ, როგორც ჩვენი ლეგიონიდან, ისე სომხური სკოლის წარმომადგენლები. ყველა ორატორები ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს შეფობას, წითელი ჯარისა და სოფლის გლეხობის დაახლოებას. გლეხები დიდი ყურადღებით უსმენდენ ამხანაგებს.

მიტინგის შემდეგ გაიმართა სკოლისა და ლეგიონის თავისებური ფეხბურთის მატჩი, რომელიც ლეგიონის ბანაკში დაბრუნებისთანავე განმეორდა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

(1 ლი არტ-ლეგიონი).

ჩვენი ლეგიონის ბანაკთან გასვლის შემდეგ ჩვენი ნაწილის ყოველგვარი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

პოლიტ-საათები და სამწყობრო მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. წითელ-არმიელები დიდ ბეჯითობას იჩენენ ყოველ მეცადინეობაში. ამასთანავე ერთად წითელ-არმიელები დიდი ხალისით ეგებიან პრაქტ-კულ სროლებზე წასვლას, რაც უკანასკნელ ხანებში ხშირად სწარმოებს ჩვენთან.

16 ივნისს, საღამოს მოწვეულ იქნა ნაწილის გაერთიანებული კრება, სადაც მოხსენება გააკეთეს წით. არმიელებმა-დელეგატებმა წითელ-არმიელთა ყოველდღიური მუშაობის შესახებ. წითელ-არმიელებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ანონშნული ამხანაგების მოხსენებები და კმაყოფილი დარჩენ კონფერენციის დადგენილებით.

წითელ-არმიელების ოჯახურ მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. დემეტრაშვილმა. მან გააცნო კრებას, თუ რა დახმარებას უწევს საბჭოთა მთავრობა უღარიბეს წითელ-არმიელების ოჯახებს.

ამავე კრებაზე მოხსენება გააკეთა ლეგიონში წითელ-არმიელთა ყოფა-ცხოვრებაზე და ადუთქვა დამსწრეთ ყოველი ნაკლის გამოსწორება.

სამხკორი **ძირულელი.**

ᲛᲝᲒᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲐᲑᲐᲜᲝ.

მეორე არტ-ლეგიონი.

წითელ-არმიაში არსებობს კანონი, რომ ყოველი ათი დღის განმავლობაში ვალდებული არიან წიყვენონ წითელ-არმიელები აბანოში და გამოაცვლევინონ საცვლები.

ეს ასე არ ხდება ჩვენთან. უკვე 20 დღე სრულდება და აბანოში არავის წაუყვანიარ და საცვლებიც დაუცვლელი გვაქვს, რაც ჰიგიენური მოსაზრებით ყოვლად დაუშვებელია.

ვთხოვთ ვისაც ეს ეხებათ მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამ მდგომარეობას.

ვლ. ნავრუზაშვილი.

ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲝ ᲝᲪᲔᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲔᲑᲗᲐ ᲛᲝᲧᲕᲧᲝᲛᲐ.

მე-4 ე ლეგიონის ცხოვრებიდან.

მე-4 ხე ლეგიონის საკომენდანტო ოცეულიც გავიდა ბანაკად.

ოცეულის მეთაურის ენერგიულმა მუშაობამ დიდათ დაინტერესა და წაახალისა წითელი არმიელები.

ფეცა-ფეცით მიდიან და ასრულებენ თავიანთ ყველა დავალებებს. სულ ორი თვე არ არის რაც ეს წითელი არმიელები ესტუმრენ ჩვენს ლეგიონს, და ამ მოკლე ხნის განმავლობაში, მათ მშვენივრად შეისწავლეს ყველა სამხედრო წესდებები. აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის ყარაულის უფროსის მოვალეობის შესრულება კარგათ შეუძლიათ თვითეულ მათგანს.

იშვიათია მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარი წ. არმიელები, გამონაკლისათვის საათანადო ზომებია მიღებული. პოლიტსაათების მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. უნდა ითქვას რომ ასეთი ენერგიული მუშაობისათვის, მადლობის ღირსია ოცეულის მეთაური და უსურვებთ მას კიდევ უფრო ენერგიულად გასძღოლოდეს თავის ნაწილს. განსაკუთრებით სამაბაკო პერიოდშია ეს საჭირო.

წ. არმიელი **ჯულაყიძე.**

ᲓᲠᲐᲛᲬᲠᲔᲒᲡ ᲡᲘᲪᲘᲜᲐᲕᲡ.

მესამე ლეგიონი.

კარგა ხანია რაც სამბანაკოდ გამოვიდა ჩვენი ლეგიონი, მაგრამ ამ დროის განმავლობაში ჩვენს დრამწრეს ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებია. რამდენად უფრო ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა ბანაკში გასვლამდე, იმდენად უმოქმედობას იჩენს ის ბანაკში გასვლის შემდეგ. ძალების ნაკლებობა არ აწუხებს წრეს. ძალები ეხლი გაცილებით უფრო მეტი გვაყავს ვიდრე წინად. მაშ რა უშლით ხელს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არაფერი არ გაკეთებულა? საჭიროა მეტი სიცოცხლე და დაუზარებლობა. ასე გულზე ხელებ დაკრეფილი გაჩერებისათვის მადლობას არავინ ეტყვის მათ.

გამოიღვიძე ჩვენო დრამ წრევ, ახალწვეულებისათვის საჭიროა, რომ ენერგიულად მუშაობდე.

სამხკორი **თქვენი.**

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

3 ივლისს პირველ ლეგიონში შესდგა საერთო დახურული პარტკრება. კრებას დაესწრენ როგორც პარტიის წევრები და კანდიდატები, ისე ახკომკავშირის წევრები. კრებაზე მოწვეული იყო აგრეთვე ტყავტრესტის მუშების უჯრედი, რომელიც გვეწვია თავისი შემადგენლობით.

პირველ რიგში კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ტყავტრესტის უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი, რომელმაც გაგვაცნო უჯრედის მუშაობა, რაც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

შემოტანილი იქნა წინადადება, ვრათა წითელი ჯარის ცხოვრებასთან უფრო დაახლოების მიზნით ტრესტის მუშებმა გამოიწერონ გაზ. „წითელი არმიელი“, რასაც ამხანაგი მუშები სიამოვნებით შეეგებენ.

სხვათა შორის ტყავტრესტის ქარხნის მუშა ქალებმა აღვნიშნეს, რომ მონაწილეობას მიიღებდენ ჩვენთან წარმოდგენებში. ამ დაპირებამ ძლიერ გაახარა ამხ. წ. არმიელები.

ამის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის სამხკომი, რომელიც, დაწვრილებით შეეხო დისციპლინის საკითხს.

განსაკუთრებით შეჩერდა წითელ არმიელთა აღზრდის საკითხზე, რომელიც მრავალი მაგალითებით იყო გაშუქებული. ამხანაგის მოხსენება კრებამ მიიღო ცნობად.

უკანასკნელი მოხსენება გააკეთა ლეგიონის მიურო კოლექტივის პასუხის მგებელ მდივანმა მუშაობის შესახებ, რაც სრულიად დამაკმაყოფილებლად იქნა კრების მიერ ცნობილი.

შემდეგ მოხდა ახალი ბიურო კოლექტივის შემადგენლობის არჩევნები. არჩეული იქნენ 5 წევრი და 2 კანდიდატი. ზოგიერთ საკურადღებო მიმდინარე კითხვების გარჩევის შემდეგ კრებაც დაიხურა.

სამხკორი **ვ. ჩაგელიშვილი.**

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **ცვალებად შემადგენლობის** წითელ არმიელთათვის საექიმო დახმარების საქმის ხარჯების დასაფარავად საქ. სახკომსაბჭომ გადასდო 6.176 მანეთი.

— **სანგანათლება ტერნწილებში.** ჯანსახკომის სამხედრო-სასანიტარო ქვეგანყოფილება სკემს წიგნაკებს ტერიტორიალური ნაწილების შემადგენლობისათვის სახელმძღვანელოთ სანიტ-განათლების და ფიზკულტურის შესახებ.

— **ტყავის ტრესტმა.** 1925 წლის 1-ნახევარში ტყავის ტრესტმა დაამზადა 16 ათასი მსხვილი ტყავი.

— **მუშების ავადმყოფობის გამო** გაცდენილ დღეების ხელფასზე ანაზღაურებლად თმ. დამზღ. კასამ ივნისში გასცა 89.779 მანეთი.

— **თუჯის დამზადება.** მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში ჩათახის თუჯის ქარხანამ დაამზადა 32 ათასი ფუთი თუჯი.

— **ქვანახშირი.** ტყიბულის მაღაროებში მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ნახევარში დაამზადეს 2.072.000 ფუთი ქვანახშირი.

— **ნაგვის დასაწვავათ.** ქალაქის დამსაკომის კომუნალურმა განყოფილებამ გერმანიაში შეუკვეთა ნაგვის საწვავი ფეჩები.

— **ტყიბულის ქვანახშირის** უმთავრეს მომხმარებლებთან ითვლებიან რუსეთი, ა.-კ. რკინის გზათა სამმართველო და საქ. ლითონის ტრესტი.

ᲐᲮᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲪᲐᲜᲘ?

ამოცანა № 1.

ერთმა გლეხმა გასასყიდათ მირეკა ბაზარზე ცხვრის ფ
რა. პირველ მყიდველს მან მიჰყიდა მთელი ფარის ნახევა
და კიდევ ნახევარი ცხვარი, მეორეს დარჩენილ ფარის ნა
ვარი და კიდევ ნახევარი ცხვარი, მესამესაც დარჩენილი ფარ
ნახევარი და ნახევარი ცხვარი და ასე ქვევით.

როდესაც მან ასევე მიჰყიდა მეხუთე მყიდველს, აღმოჩ
და, რომ მას გაეყიდა მთელი ფარა და ერთი დასაკლავი ც
ვარიც არ ყოვდა. რამდენი ცხვრები ყოლია მეცხვარე გლეხ

ხელო სულისკვეთებით გაეღ
ნენთა.

მესამე სურათი ავტორს სურ
და, რაც შეიძლება მხიარულად
დაეხატა; მაგრამ სამწუხაროდ
„ბახუსი“ აქ პარბადაა წარმოდ
გენილი, რაიც სრულებით ეწი
ნააღმდეგება კომუნისტურ მო
რალს და მით უმეტეს იმ „კო
მუნისტური ნათლას“, რომე
ლიც მოახდინა ანდრომ თავის
შვილის დაბადების აღსანი
ნავთა.

სიყვარულის ხაზები მეს
სურათში ძლიერ სუსტია.

აგიტპიესა ვერ გამოხატ
სათანადო ტერსისტემის რა
ბას. პირველ მეორესა და მეს
სურათს შორის—წინააღმდეგ
ბაა. აგიტპიესაში ვერ არის მ
ატვრული მთლიანობა.

დ. ლოლაშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲘ

მეექვსე ტერ-ლეგიონი.

აღნიშნულ ლეგიონში პარტ-პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობასთან დაკავშირებით მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიული დისციპლინის განმტკიცების საკითხს. სწორედ ამ მიზნით, 8 ივლისს ლეგიონის ბიუროკოლექტივმა მოიწვია ლეგიონში არსებულ კომუჯრედების მდივნებს თათბირი, რომელსაც ბერეთვე დაესწრო ჩვენი დივიზიის პარტ-კომისიის მდივანი ამხ. ტაგიშვილი.

თათბირზე დღის წესრიგში დასმულ მთავარ საკითხთან,—პარტ-დისციპლინის განმტკიცებასთან დაკავშირებით იყო სხვა საკითხებიც: პარტ-გადასახადების შესახებ და ახლად პარტიაში მისაღებ ამხანაგების ავტობიოგრაფიების შემოწმების შესახებ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ.

ცვლებადელებს შორის პარტიულ დისციპლინის განმტკიცების მიზნით, ამხანაგების მიერ გამოთქმულ იქმნა საერთო შეხედულება გადატანილი იქმნას მომავალი უჯრედების კრებაზე, სადაც უფრო დეტალურად იქნება გაშუქებული აღნიშნული საკითხი.

პარტ-გადასახადების თავისი დროზე გადაზღვევის შესახებ, ილაპარაკეს რამოდენიმე ამხანაგებმა, რის შემდეგ დადგენილ იქმნა: პირველ შემთხვევაში, როცა ამხანაგებს არ შემოუტანიათ თავის დროზე საწევრო გადასახადი, გამოეცხადოს საყვედური, ხოლო შემდეგ კი მოიქცენ ისე, როგორც გვიკარნახებს პარტიის პროგრამის ერთ-ერთი მუხლი ამის შესახებ.

ავტობიოგრაფიების შემოწმების შესახებ ილაპარაკა პარტკომისიის მდივანმა, რომელმაც ფაქტის მოყვანით აუცილებელ საჭიროთ სცნო ასეთების შემოწმება ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ.

პარტკორი **ნ. ასათიანი.**

ᲐᲑᲐᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ.

პირველი ლეგიონი.

პირველ ლეგიონში მოაწყვეს ამანათ, რომელიც იტევდა ორმოცამდე კაცს. სამწუხაროდ არ გასულა დიდი დრო, რომ ერთ დღეს საშინელმა ნიაღვარმა ლამაზათ, ტალოებით შემოკეთებული აბანო სრულიად დაარღვია, ამოავსო ქვიშით და ლამით.

რამოდენიმეჯერ სცადეს მისი ამოწმენდა, მაგრამ არაფროს არ მოხერხდა, თითქმის შეუძლებელიც ხდება მისი კვლავ აღდგენა. ტალოების კედლები აბანოს ისევ აქვს. წვიმა, ქარი და სხვა მოვლენები მათ სცვეთს და აფუშებს, ყურადღებას კი არავინ აქცევს. თუ მალე არ მიექცა ყურადღება ტალოები სავსებით გაფერადდება.

ჩვენი მეთაურები კი დარწმუნებული არიან, რომ ამაზე ფიქრობენ: ავტორს, რომ მხარდა) ვინმე ეს ტალოები იქ იყვენ გაკრული და ფუქდებოდენ.

ამაზე იქამდე უნდა ეფიქრათ, სანამ ისევ აქვს. წვიმა, ქარი და სხვა მოვლენები მათ სცვეთს და აფუშებს, ყურადღებას კი

ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

„მოვდივართ, მოგვიხარიან“ ანუ „ახალი ჯარი“, აგიტპიესა სამ სურათად ს. ერ—ლის გამოცემა 2 ქართ. მსრ. ტერდივიზიის პოლიტგანის. 1925 წ. ქ. ტფილისი.

წითელი ჯარს და განსაკუთრებით ჩვენ ქართ. წითელ ლაშქარს ძალიან ცოტა მოეპოვება თავისი ცხოვრების გამომხატველი მხატვრული ნაწარმოები.

დღეს-დღეობით ჩვენი ნაწერების კლუბებში იდგმება ისეთი დრომოჭმული პიესები, რომლებიც ცხადია, ვერ მისცემენ წითელ-არმიელს კომუნისტურ აღზრდას.

2 ქართ. დივპოლიტგანმა გამოსწია ახალი აგიტპიესა ს. ერ—ლისა—„მოვდივართ, მოგვიხარიან ანუ ახალი ჯარი“.

პიესას ფართო ასპარეზი აქვს სამოქმედო, მაგრამ ავტორის მხრივ არ სჩანს სათანადო გამოყენება: თემა— აღებული—ტერსისტემის რაობაა. მხოლოდ შინაარსი იძლევა სათაურის მხოლოდ თემატიურ განმარტებას.

პირველი სურათი ლამაზ მუნების ნატურალურ ჩარჩოებში მომწყვდეული და წარმოდგენილია სოფელი მთელი თავისი სიმშვენიერით. ეს სურათი იწყება კულტურა—მეცნიერების შესახებ საუბარით, სოფლის მასწავლებლის მიერ.

მისი ახსნა-განმარტება „გლეხ მიხოსთან“ უმთავრესად ჯანმრთელობის საკითხის გარშემო ტრიალებს: ავტორს, რომ მხარდა) ვინმე ეს ტალოები იქ იყვენ გაკრული და ფუქდებოდენ.

ამაზე იქამდე უნდა ეფიქრათ, სანამ ისევ აქვს. წვიმა, ქარი და სხვა მოვლენები მათ სცვეთს და აფუშებს, ყურადღებას კი

ტემის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაახლოვებით,—საკითხს სწორად მიუდგე ოდა და არ დასპირდებოდა ამოდენი ლაპარაკი „ვერან დოხტურებსა“ და ხატების მორწმუნე სალომეზე“. პირველ სურათშივე მასწავლებელი მექანიკურათ წამოიძახებს ლის გლეხის წინაშე კომპარტიის ლოზუნგს „პირი სოფლისაკენ“; ეს კი გაუგებარი რჩება გლეხისათვის, მას გონია, რომ „ქალაქელებს მუდამ ღია აქვთ პირი სოფლელთა სარჩოს გადასაყლაპავათ“. ეს ლირსმნიშვნელოვანი ლოზუნგი პარტიისა მასწავლებლის სიტყვაში მეტად მკრთალია და ვერ აძლევს განმარტებას გლეხს მის იდეურ და პრაქტიკულ მხარეზე.

გაუგებრობით იტყრთება სოფლელ-გლეხების გონება, ისინი გაურკვევლობით ეკითხებიან ერთმანეთს, „რაღაც გამოწვევის შესახებ და ომის გამოცხადებაზე“.

მეორე სურათი წარმოადგენს მოედანს სოფლის კლუბ-სამკითხველოსთან, სადაც მიმდინარეობს კრება; მოხსენებას აკეთებს პოლიტ-ხელი, რომელიც დაწვრილებით ეხება წითელი ჯარის წარმოშობის ისტორიას, მის გმირულ—რევოლიუციონურ ომებს და მოხსენების რეზიუმეში ახასიათებს ტერსისტემის მნიშვნელობასა და რაობას. მეთაურია—სანდროს სიტყვას აკლია ბედრული სული; საჭირო იყო და კარგიც იქნებოდა ავტორს მეთაურის სიტყვა სამ-

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

რატომ ზამთრობით არ იცის ჰექა-ქუხილი.

ჰექა-ქუხილის გაჩენის საკითხს მეცნიერები შემდეგნაირად ხსნიან: ზაფხულობით, განსაკუთრებით შუადღეზე, როდესაც ნაიადაგი ძალზე გახურებულია მზის სხივებით, ჰაერის ქვედა ფენები ე. ი. რომლებიც ეხებიან მიწის ზედაპირს ხურდებიან, ამის გამო ფართოვდებიან და კიდევაც ხდებიან საგრძნობლად მსუბუქი.

მსუბუქი ჰაერის ფენები კი მიისწრაფიან ზევით მთელი მდინარების სახით. ჰაერის ეს მდინარება სწრაფად ცივდება ზევით ასვლით და გამოჰყოფენ წყლის წვეთებს, რომლებიც თბილ ჰაერში სრულიად არ სჩანდენ.

ცნობილი მეცნიერი ლენცის კანონით წყლის წვეთები სცილდებიან რა დედა-მიწის ზედაპირს იტენებიან ელექტროობით. წვრილი წვეთების ერთანეთთან შეერთებით ეს ელექტრო დატენილობა კიდევ უფრო იზრდება.

და რომ ის იზრდება შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ელექტროობა საზოგადოთ ვრცელდება სხეულების ზედაპირზე.

ღრუბლების ძირს შეიძლება ათასობით მეტრის სიმაღლეზე ჰქონდეს ადგილი, სადაც ჰაერის ტემპერატურა ნულის ქვემოთ არის. ამ ადგილას ჰაერის ტემპერატურა ხშირად 10 გრადუსამდე ცივია. ამ ადგილას ჰაერის ტემპერატურა ხშირად 10 გრადუსამდე ცივია. ამ ადგილას ჰაერის ტემპერატურა ხშირად 10 გრადუსამდე ცივია.

ღრუბლების ძირს შეიძლება ათასობით მეტრის სიმაღლეზე ჰქონდეს ადგილი, სადაც ჰაერის ტემპერატურა ნულის ქვემოთ არის. ამ ადგილას ჰაერის ტემპერატურა ხშირად 10 გრადუსამდე ცივია.

ამ ადგილას ჰაერის ტემპერატურა ხშირად 10 გრადუსამდე ცივია